პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЯТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 28 აპრილი, 1990 წელი ● № 18 (2895) ● СУББОТА, 28 АПРЕЛЯ 1990 г.

საქ. სსრ ... სახ. რესპ. ... ბიბლიოთეკა

Граждане Советского Союза! Активно участвуйте в становлении правового социалистического государства!
Народные депутаты! Честно и ответственно служите интересам трудящихся!
Юноши и девушки! Активно участвуйте в труде, овладевайте знаниями, учитесь управлять государством! В ваших руках будущее Отечества!
Пусть торжествуют общечеловеческие ценности!

(ИЗ ПРИЗЫВОВ ЦК КПСС К 1 МАЯ 1990 ГОДА).



## ტრადიცია გრძელდება

**სურმანიძეების** ოჯახურ დინასტიას დიდი ხნის ისტორია აქვს. იმდენად დიდი იყო რწმენა არჩეული პროფესიისადმი, რომ ის ესტაფეტასავით გადადიოდა მამიდან შვილში, პაპიდან შვილიშვილებში და ასე მოვიდა დღემდე. ალბათ ასე ივლიან სურმანიძეების დიდი ოჯახის პატარა წევრებიც, რომელთაგან 10 წლის გიორგი უკვე ოცნებობს მილიციელობაზე.

რ. სურმანიძემ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ბათუმის სამშენებლო-ტექნიკურ სასწავლებელში დაიწყო მუშაობა ოსტატად. ასე იწყება მისი შრომითი ბიოგრაფია. შემდეგ, როგორც ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა სასწავლებლის ხელმძღვანელობის რეკომენდაციით იგზავნება შს სამინისტროში სამუშაოდ. დღეს ოფიცერ რ. სურმანიძეს მიღებული აქვს არაერთი სიგელი, გამოცხადებული აქვს მადლობები. ახლა ცოტა წარსულსაც გადავხედოთ. რამაზი ოჯახური დინასტიის ერთ-ერთი გამგრძელებელია. მისი პაპა ზ. სურმანიძე 30 წლის მანძილზე მსახურობდა ბათუმის საქალაქო განყოფილებაში. ამჟამად ის პენსიონერია. მამის კვალს შემდეგ შვილი გაჰყვა. ბატონი ქაზიმი მთელი თავისი შეგნებით სიმართლის სამსახურისათვის იყო მოწოდებული. ერთ-ერთი ოპერატიული დავალების შესრულებისას ქ. სურმანიძემ მიიღო ჭრილობა ფეხის არეში. ჭრილობა სავალალო აღმოჩნდა. ქაზიმი III ჯგუფის ინვალიდი გახდა. ამჟამად ის პენსიონერია. და მაინც მიუხედავად ფათერაკებისა ალსავსე პროფესიისა შვილები სახელოვნად მიჰყვებიან წინაპართა გაკვალულ გზას. შს სისტემაში სურმანიძეების ექვსი წარმომადგენელი მსახურობს. მსახურობს კეთილსინდისიერად, უანგაროდ და ყოველგვარი ხმაურის გარეშე. საქმისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს არ სჭირდება ლამაზი სიტყვები. ის ყოველთვის თავად გაიკვლევს გზას...

**გ. მგალობლიშვილი.**

ავტორის ფოტო.

# ოფიციალური ინფორმაცია

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ".

21 **აპრილს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ბრიფინგი. ბრიფინგს უძღვებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაჟა გურგენიძე.

ბრიფინგზე განიხილეს ე. წ. „თურქ-მესხთა" პრობლემა, რომელსაც 20 აპრილს ცენტრალურმა ტელევიზიამ მიუძღვნა თავისი მორიგი სიუჟეტი. ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ განუცხადებიათ — „თურქ-მესხების" პრობლემის გამო მათი პოზიცია მტკიცე და არაორაზროვანია: საქართველოში არავის ჩამოსახლება არ მოხდება და ეს მთლიანად გამოხატავს რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესებს.

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის მორიგი, XXVIII ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომა. სხდომაზე რომელიც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარიძის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გააანალიზეს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში გამართული პარტიული კრებების შედეგები, აგრეთვე განიხილეს ზოგიერთი წინადადება ყრილობის დღის წესრიგთან დაკავშირებით. კომისიის წევრებმა გამოთქვეს სხვადასხვა მოსაზრებანი და მიდგომები მთელი რიგი განსახილველი საკითხებისადმი.

**გამოქვეყნდა** რესპუბლიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის პროექტი.

В ПРОФОРГАНИЗАЦИЯХ МВД ГССР

# НА ПУТИ К СЪЕЗДУ

**БОЛЬШИЕ** изменения происходят сейчас в общественно-политической жизни нашей республики. С учетом требований времени стремятся строить работу и профсоюзные организации, которые ищут новые формы и методы своей деятельности. Одним из важных шагов на этом направлении стала и идущая сейчас полным ходом подготовка к первому съезду независимого Республиканского комитета профсоюза работников госучреждений, который состоится в начале июня нынешнего года.

Активное участие в подготовке съезда принимают и профсоюзные организации Министерства внутренних дел республики. На состоявшейся на днях XIX конференции Объединенного комитета профсоюзных организаций системы МВД ГССР были рассмотрены некоторые организационные вопросы, связанные с подготовкой к съезду. Участникам конференции были розданы проекты Положения и Устава будущего независимого профсоюза, предложено изучить их в своих организациях и внести предложения и дополнения, которые будут представлены съезду. Затем состоялись выборы делегатов на съезд. В результате голосования участники конференции избрали делегатами председателя профкома РСМУ **Г. Артмеладзе**, председателя профсоюзной организации госпиталя медотдела МВД ГССР **А. Гагнидзе**, заместителя председателя ОК профсоюзных организаций министерства **О. Мхеидзе**, председателя профорганизации отдела связи министерства **Ю. Нацвлишвили**, председателя профорганизации СМУ **А. Схиладзе** и председателя ОК профсоюзных организаций МВД ГССР **Е. Теплицкого**.



• • •

НА СНИМКЕ: участники конференции в перерыве между заседаниями.

# НАЗНАЧЕНИЯ

● **ПРИКАЗОМ** министра внутренних дел Грузинской ССР в должности министра внутренних дел Абхазской АССР утвержден полковник милиции **Ломинадзе Гиви Николаевич.**

● **ПРИКАЗОМ** министра внутренних дел Грузинской ССР назначены:

— на должность первого заместителя министра внутренних дел Абхазской АССР **Аршба Александр Ионович;**

— на должность начальника учреждения УТ 123/6 УИД МВД ГССР капитан милиции **Рапава Мераб Шотаевич**, с освобождением его от должности начальника ОУР отдела внутренних дел Сухумского горисполкома;

— на должность и. о. начальника отдела внутренних дел Чиатурского горисполкома подполковник милиции **Надирадзе Леван Шотаевич**, с освобождением его от должности начальника отдела внутренних дел Тетрицкаройского райисполкома;

— на должность начальника отдела ГАИ УВД Тбилгорисполкома подполковник милиции **Схиртладзе Джимшер Васильевич;**

— на должность и. о. начальника отдела внутренних дел Тетрицкаройского райисполкома подполковник милиции **Гулдамашвили Георгий Иосифович**, с освобождением его от должности начальника следственного отделения ОВД района им. 26 комиссаров;

— на должность и. о. начальника отдела внутренних дел Местийского райисполкома старший лейтенант милиции **Тордиа Георгий Гивиевич**, исполнявший обязанности заместителя начальника этого же отдела;

— на должность и. о. начальника отдела внутренних дел Потийского горисполкома **Учанеишвили Карло Георгиевич**, рекомендованный Потийским ГК КП Грузии.

## ანონსი

მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ შემდეგ მასალებს:

„გზა — გავლილი, გზა — გასავლელი" — ინტერვიუ სისხლის სამართლის სამძებრო და სოციალისტური ქონების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოების უფროსებთან;

„გავაძლიეროთ ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ".

გ. ხანდამაძის „აკრძალული თამაშები".

Безответная критика — кому это на руку?

აქტუალური ინტერვიუ

# დამნაშავეობის წინააღმდეგ — ერთობლივი ძალებით

**ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის და განახლების პროცესების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ბევრი უკვე გაკეთდა ამ მიმართულებით — შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები კონსტიტუციაში, მიღებულია ახალი კანონები, მზადდება კანონი მილიციის შესახებ, მაგრამ მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება. მათ შორის, ამ ბოლო დროს მკვეთრად გამოკვეთილი დანაშაულის ზრდა, რაც სამართლიანად აღელვებს მოსახლეობას. ამ პრობლემის დაძლევა შეიძლება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ყველა რგოლის — პროკურატურის, იუსტიციის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ძირფესვეული გაუმჯობესებით, მათი ურთიერთმოქმედების პრინციპული სრულყოფით. ამ პრობლემების ზოგიერთ ასპექტზე ჩვენი კორესპონდენტის თხოვნით თავის მოსაზრებებს გამოთქვამს საქართველოს იუსტიციის მინისტრი ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძე.**

**ბატონო ვიქტორ, რა ძირითადი ტენდენციები შეინიშნება ამ ბოლო ხანებში სასამართლოების მუშაობაში რესპუბლიკაში შექმნილი რთული კრიმინოგენური ვითარების გათვალისწინებით?**

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნამ, დემოკრატიის და საჯაროობის მიმდინარე პროცესებმა დღის წესრიგში დააყენეს დამნაშავეობასთან ბრძოლის თვისობრივად და ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობა. მართლწესრიგის დაცვის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი, როგორც მოგეხსენებათ სასამართლოა, რომლის საქმიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანთა ბედი, მათი ინტერესების დაცვა, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის კანონით განსაზღვრული ურთიერთობის უზრუნველყოფა.

გასულ წელს რეგისტრირებულმა დანაშაულმა 6,4 პროცენტით მოიმატა, მის საპირისპიროდ კი ნასამართლობა, 10,2 პროცენტით შემცირდა. ნასამართლობის ასეთი კლება გამოწვეულია სასამართლოებში განსახილველად შემოსული საქმეების მნიშვნელოვანი კლებით. რეგისტრირებულმა დანაშაულმა 1988 წელთან შედარებით მოიმატა 1064 ერთეულით, ხოლო სასამართლოებში განსახილველად შევიდა 763 სისხლის სამართლის საქმით ნაკლები. საქმეთა კლება თითქმის ყველა კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე შეინიშნება. გასაგებია, რომ მართლმსაჯულების ასეთი განხორციელება, დამნაშავეობის წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლა ვერ განაწყობს მოსახლეობას სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობითა და პატივისცემით.

საქმეთა კლება განსაკუთრებით შეინიშნება სახელმწიფო ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის საქმეებზე. გამოძიების დროს არასაკმარისი ყურადღება ექცევა ზარალის ანაზღაურების და მოსალოდნელი კონფისკაციის მიზნით ბრალდებულ პირთა ქონების გამოვლენის საკითხს. მათ ქონებაზე ყადაღას ადებენ საქმის აღძვრიდან დიდი ხნის დაგვიანებით, აღწერის ოქმში შეაქვთ ისეთი ქონება, რომელზედაც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა. ხშირ შემთხვევაში დგება ქონების უქონლობის აქტები ან საერთოდ არ ხდება ადგილებზე ქონების შემოწმება, ბრალდებულის ოჯახის ყველა წევრის ქონების ამოღებაზე. სასამართლოს აღმასრულებლებმა გასულ წელს გააქტიურეს მუშაობა გაფლანგვა — დატაცებით მიყენებული მატერიალური ზარალის დასაფარავად, გამოავლინეს მსჯავრდებულთა ქონება, რომელიც არ ყოფილა დაყადაღებული წინასწარ გამოძიებაში. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი — მილიონ რვაასი ათასი მანეთის ოდენობით თითქმის მთლიანად დაიფარა. მიუხედავად აღნიშნულისა, ხშირ შემთხვევაში ქონების გამოვლენა შეუძლებელი ხდება. უფრო შედეგიანი იქნება ამ მიმართულებით საგამომძიებლო ორგანოების და სასამართლოს მუშაკების მიერ ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებების გატარება.

სასამართლოებში შემოსული საქმეების განხილვისას არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც უხვად რჩება გამოსაკვლევი საკითხები. მათი ხელახალი და ზუსტი დადგენა ხშირად სცილდება სასამართლოს შესაძლებლობას. ამის შედეგად მათ უხდებათ საქმეთა დაბრუნება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. დამატებით გამოძიებაში დაბრუნებული საქმეების რაოდენობა რესპუბლიკაში მაღალია, გასულ წელს სასამართლოების მიერ დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა 404 სისხლის სამართლის საქმე 554 პირის მიმართ. სამწუხაროდ ადგილი აქვს დამატებით გამოძიებაში საქმეთა უსაფუძვლოდ დაბრუნების ფაქტებსაც. ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ გაუქმებულ იქნა ასეთი განჩინებები 112 პირის მიმართ, რაც საერთო რაოდენობის 20,4 პროცენტს შეადგენს. გაოცებას იწვევს დამატებით გამოძიებაში საქმის დაბრუნების ისეთი უსუსური მოტივი, როგორიცაა „მოწმის“ დეტალურად და კრიტიკულად არდაკითხვა. რას გულისხმობს მოსამართლე ასეთ შემთხვევაში გაურკვეველია. მოწმის დეტალურად დაკითხვა მოსამართლისათვის ხომ არავის აუკრძალავს. ყოვლად მიუტევებელია სასამართლოს მიერ საქმის დაბრუნება დამატებით გამოძიებაში გამოსარკვევი საკითხების და შესასრულებელი მოქმედებების მიუთითებლად. ამგვარი ფაქტები მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ზოგიერთი მოსამართლე, სურს რა თავი აარიდოს საქმის განხილვას, მოგონილი საბაბით, შესაბამისი დასაბუთების გარეშე აბრუნებს საქმეს დამატებით გამოძიებაში, არ ცდილობს გამოძიების ხარვეზები და ნაკლი შეავსოს სამსჯავრო გამოძიებით, რაც ყოვლად დაუშვებელია.



სახალხო სასამართლოები, წინა წლებთან შედარებით, უფრო კრიტიკულად ეკიდებიან მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალებს, ნაკლებად შეიმჩნევა ე. წ. „საბრალდებო გადახრა“. ამის შედეგად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დადგენილ იქნა 67 გამამართლებელი განაჩენი, რომელთაგან მხოლოდ 19 გამოტანილია კერძო ბრალდების საქმეებზე. მიუხედავად ამისა სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი უხეშ შეცდომებს, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მხოლოდ გასულ წელს კვლავ გამოვლინდა 11 მოქალაქის უკანონო მსჯავრდების ფაქტი, მიზეზი კი ყველგან ერთია, უყურადღებობა და გამოძიების მასალების უკრიტიკოდ გაზიარება.

ვფიქრობთ გამამართლებელი განაჩენების ზრდის ტენდენცია შეჩერდება, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოკვლევის და წინასწარი გამოძიების პრაქტიკაზე. სასამართლოების კრიტიკული, ჰუმანური პოლიტიკა — შესაბამისად ცვლის ამ ორგანოების მუშაობის სტილს. პირველმა ნაბიჯებმა უკვე მოგვცეს შესაბამისი შედეგები, ამის შედეგად მცირდება გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. მაგალითად, თუ 1988 წელს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რიცხვი 45 შეადგენდა, გასულ წელს ასეთი განაჩენი მხოლოდ 22-ჯერ იქნა გამოტანილი.

**— იუსტიციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების მოღვაწეობა ერთ მიზანს ემსახურება. რა შეიძლება ითქვას თანამედროვე ეტაპზე მათი ურთიერთმოქმედების შესახებ, ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებზე?**

— ცნობილია, რომ სასამართლო საქმიანობის დონეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საქმეთა წინასწარი გამოძიების, ხარისხი. ჩვენ ვაფასებთ გამომძიებლის შრომას და კარგად გვესმის თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა უხდებათ მათ. სასამართლო სათუთად უნდა ეპყრობოდეს გამომძიებლის შრომას, ყოველნაირად უნდა ეცადოს არ დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად თუ დაშვებული ხარვეზების და უზუსტობის გამოსწორება სასამართლოსათვის შესაძლებელია. საჭიროა დავაფასოთ საერთო შრომა, არ დავუშვათ საქმეების დამატებით გამოძიებაში უსაფუძვლოდ დაბრუნება, ყველაზე მაღლა დავაყენოთ კანონიერების ინტერესები. მაგრამ სასამართლოს, ცხადია არ შეუძლია ხელახლა იტვირთოს მოკვლევის და წინასწარ გამოძიების ფუნქციები. სასამართლოს საქმიანობა წინასწარი გამოძიების ერთგვარი გაგრძელებაა, სადაც უნდა საბოლოოდ შეფასდეს და განმტკიცდეს ყოველივე მოპოვებული წინასწარი გამოძიების მიერ. და რაც მთავარია, სასამართლოს არა აქვს უფლება დაადგინოს განაჩენი უხარისხოდ გამოძიებულ და მოკვლეულ მასალებზე. დამნაშავეს სასჯელისაგან ათავისუფლებს არა მოსამართლეთა გულჩვილობა, არამედ დაუმტკიცებელი ბრალდებები. გამოძიების მუშაკთა მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, საგამომძიებლო პრაქტიკას ჯერჯერობით საკმაო ნაკლოვანება და ხარვეზები ახასიათებს და ჩვენ სრული უფლება გვაქვს გამოვთქვათ, შესაძლოა სადაო შეხედულებები ამის თაობაზე. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მანკიერ პრაქტიკასაც, როდესაც სასამართლოები გამამართლებელი განაჩენის დადგენის ნაცვლად საქმეებს დამატებით გამოძიებაში აბრუნებენ, სადაც ისინი წყდება. განჩინებები ასეთ საქმეთა დაბრუნების შესახებ, როგორც წესი არ პროტესტდება, არც არავინ სათანადოდ არ დაინტერესებულა მათი ბედით. შემდგომში ამ მოტივით დამატებით გამოძიებაში საქმის დაბრუნებას მკაცრი შეფასება უნდა მიეცეს, რადგანაც სასამართლოს მიერ საჯაროდ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს სამართლებრივი აზრისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დამნაშავის სამართლიან დასჯას. მართალია გამოძიება გამართლების დროს ცუდად გამოიყურება, მაგრამ იმისათვის, რომ მოვიცილოთ ყოველგვარი დაბრკოლება ამ საქმიანობაში, უარი უნდა ითქვას, ისეთ მდგომარეობაზე, როდესაც განსასჯელის გამართლება ავტომატურად იწვევს გამომძიებლის ზოგჯერ ბევრად უფრო მკაცრ დასჯას, ვიდრე მაგალითად გამოძიების უკანონო მეთოდებით წარმართვა. დროა უარი ვთქვათ ჩვენში ათწლეულების განმავლობაში დანერგილ წარმოდგენებზე, რომლის მიხედვითაც საბრალდებო დასკვნას აუცილებლად უნდა მოჰყვეს გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო გამამართლებელი განაჩენი უნიკალურ შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნებოდა. ჯერჯერობით კი ამგვარმა მოთხოვნებმა სამძებროს და გამოძიების გარკვეული დაბნეულობა, უკმაყოფილება გამოიწვია. საკუთარ საქმიანობაში არსებული ხარვეზების გასამართლებლად და დასაფარავად მოკვლევისა და გამოძიების მუშაკები ზოგჯერ თავს უფლებას აძლევენ არადამაკმაყოფილებლად შეაფასონ სასამართლოს საქმიანობა, ივიწყებენ თავიანთ უპირველეს მოვალეობას — კანონის და არა მუნდირის ღირსების დაცვას. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის კანონით გათვალისწინებული მტკიცების ფორმების შეცვლისა და ოპერატიული გზით მიღებული ვიდეო მასალის, სატელეფონო საუბრების ჩანაწერები ჰიპნოზის და „სიცრუის დეტექტორზე“ გამოცდის შედეგების მტკიცებულებათა სახით გამოყენების ლეგალიზების მოწოდებანი. კანონმდებლობის ხარჯზე უწყებრივი პრობლემების გადაწყვეტის ამგვარი ცდების შედეგად დანაშაულობათა ბრძოლაში უფრო მეტად არა იმდენად დამნაშავეობა, რამდენადაც თავად დამნაშავეობასთან ბრძოლა გვაღელვებს. ზოგჯერ დამნაშავეობასთან ბრძოლის განმტკიცების საბაბით გაისმის წინადადებები უარი ვთქვათ სამართლებრივ გარანტიებზე, შეინიშნება დანაშაულის ზრდის ტენდენციის გამოყენება სასამართლო რეფორმის დემოკრატიული პრინციპების დისკრედიტაციისათვის. ნუ დავივიწყებთ, რომ ლაპარაკი არსებითად მიმდინარეობს სამართლებრივ აქსიომებზე: არავინ არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნეს მტკიცებულების გარეშე, თითოეულის ბრალეულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ყოველგვარი გაურკვევლობა ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს ე. ი. „უდანაშაულობის პრეზუმპციის“ საჭიროების საკითხებზე, ეს ყველა თანამედროვე ცივილიზებული და სამართლებრივად განვითარებული საზოგადოების აქსიომატური დებულებებია.

**— მოკვლევისა და გამოძიების გარდა შს სამინისტროს რომელ სამსახურებთან ურთიერთმოქმედებაში გაქვთ სირთულეები?**

— გარკვეული ხარვეზები შეინიშნება აგრეთვე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებიდან მიღებული წარდგინებების სასამართლოებში განხილვისას. მხოლოდ გასული წლის განმავლობაში სახალხო სასამართლოების მიერ განხილულ იქნა 3848 წარდგინება. აქედან დაკმაყოფილებულია 3205. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციამ, სამეთვალყურეო კომისიებმა და აგრეთვე სასამართლომ, რომელიც საბოლოოდ წყვეტს საკითხს. სასამართლოს სწორ მუშაობას და მასალების საფუძვლიან შესწავლას, განხილვის ათდღიანი ვადის დაცვას ხელს უშლის შრომა-გასწორების დაწესებულებიდან განსახილველად წარდგინებების გადაგზავნის კამპანიური ხასიათი, ეს კი, თავის მხრივ იწვევს სახალხო სასამართლოს არათანაბარ დატვირთვას, უარყოფითად მოქმედებს მართლმსაჯულების სწორ განხორციელებაზე. შრომა გასწორების დაწესებულების ადმინისტრაცია ზოგ შემთხვევაში არასაკმარისი პასუხისმგებლობით ეკიდება აღნიშნული მასალების სასამართლოში წარდგენას, რის შედეგადაც სასამართლოში შემოდის წარდგინებები, იმ პირთა მიმართაც, რომლებსაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო კანონით არ ეკუთვნით შეღავათის გავრცელება, ჯერ არ მოუხდიათ კანონით გათვალისწინებული სასჯელის აუცილებელი ნაწილი.

**— თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს ყველა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა და პრობლემების გადალახვისათვის?**

— მოსამართლეები — სამართალდაცვით იერარქიაში ყველაზე უფრო დემოკრატიული ფენაა, თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას ისინი ახორციელებენ საჯაროდ, ღიად, ამიტომ მათ მიერ კანონის დარღვევის უმნიშვნელო ფაქტიც კი თვალსაჩინო ხდება. ვითარებაში, როდესაც სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა აღარ წარმოადგენს კრიტიკისათვის მიუწვდომელ ფორმებს კანონის ყოველგვარი დარღვევა დიდ რეზონანსს იწვევს საზოგადოებაში. უკან არ რჩება კრიტიკა მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მხრიდანაც. ამიტომ სასამართლოებს უფრო კრიტიკული, ჰუმანური პოზიცია უჭირავთ.

ამისათვის კი უარი უნდა ითქვას საბრალდებო გადახრის ჯერ კიდევ არსებულ კანონით განმტკიცებულ დებულებებზე. ასე მაგალითად, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის წარმოების მესამე მუხლი ერთნაირ ამოცანებს უწესებს მოკვლევის, გამოძიების ორგანოებს, პროკურორს და სასამართლოს. დირექტიული ორგანოების დადგენილებებში (საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ“). დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთიანი ამოცანა განესაზღვრება. მი[illegible] პროკურატურასაც. დროა [illegible] რომ დამნაშავეობის [illegible] არ უნდა ახდენდნენ ზეგავლენას მართლმსაჯულებაზე, მითუმეტეს, სამართალდაცვითი პრაქტიკის მკვეთრი გადახრები ხშირად ასახავენ არა იმდენად დამნაშავეობის ტენდენციების ცვალებადობას, რამდენადაც დღის კონიუნქტურას, ცალკეული პირების ამბიციებს, პოლიტიკური კურსის მერყეობას.

იმისათვის რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ წინასწარ გამოძიებაში თვითნებობის შესაძლებლობა, ვფიქრობ სასარგებლო იქნებოდა წინასწარ გამოძიებაზე სასამართლო კონტროლის დაწესება. ალბათ, სხვა ქვეყნების მსგავსად, საჭიროა შემოვიღოთ ისეთი ფიგურა, როგორიცაა საგამოძიებო მოსამართლე. რომელიც კონტროლს გაუწევდა გამოძიების მთელ მსვლელობას და შეაფასებდა პირის სამართალში მიცემისათვის შეგროვილი მასალების საკმარისობას.

დამატებით გამოძიებაში საქმეთა დაბრუნების ძირითადი მიზეზია წინასწარი გამოძიების ზედაპირულობა, მოწმის ჩვენების ხელოვნური დაყვანა საქმის გარემოებებთან. ხშირ შემთხვევაში მიკერძოებული გამოძიების შედეგია განსასჯელის, დაზარალებულის თუ მოწმეების მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებების შეცვლა. ზოგჯერ გამოძიება „იზღვევს“ რა თავს, უსწორო, უფრო მძიმე კვალიფიკაციით აგზავნის საქმეს სასამართლოში, სასამართლო კი გადაკვალიფიცირებაზე და მტკიცებულთა გამოკვლევაზე კარგავს ძვირფას დროს, მისი მუშაობის მოცულობა იზრდება, ზიანს განიცდის მართლმსაჯულება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ ყოველწლიურად უნდა გააანალიზოს გამოძიების შეცდომები, აცნობოს მათი გავრცელების და ხასიათის შესახებ პროკურორს, რაც გაზრდის საგამომძიებლო ორგანოების პასუხისმგებლობას და დაინტერესებას სასამართლოში წარგზავნილი საქმეების ხარისხის ამაღლებაში. ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს დამცველის წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობა, რაც ცივილიზებული იუსტიციის ელემენტალური მოთხოვნაა. უდაოა, რომ ადვოკატის როლის და პრესტიჟის დონის ამაღლება — ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დამცველის უფლების ზრდა, ამ სამართლებრივი ინსტიტუტის აქტივიზაცია, არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამართალდაცვითი საქმიანობის დემოკრატიზაციისა და გარდაქმნის გზაზე. ჯერჯერობით კი პრაქტიკა დიდ სიძნელეებს განიცდის სასამართლო წარმოების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების 22 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლითაც აღიარებულია დამცველის მონაწილეობის უფლება დაკავების, დაპატიმრების ან ბრალის წაყენების მომენტიდან. სამწუხაროდ, გამომძიებლები ზოგჯერ არ უმარტავენ მოქალაქეებს ამ უფლებას, დამცველს ზოგჯერ არ აცნობენ იმ დროისათვის არსებულ მასალებს, რითაც რთულდება დაცვის უფლების განხორციელება. კანონის ნორმის პრაქტიკული განხორციელებისათვის არაა საკმარისი რესპუბლიკის რიგ რეგიონებში ადვოკატთა რაოდენობაც, გადასინჯვას საჭიროებს აგრეთვე გამოსასვლელ, სადღესასწაულო დღეებში და ღამით ადვოკატთა მუშაობასთან დაკავშირებული დებულებები.

— ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია როგორც სასამართლო ორგანოების ასევე მოკვლევის და წინასწარი გამოძიების შეთანხმებული მოქმედების გარეშე. ჩვენ გვჭირდება არა ურთიერთწყენა და კინკლაობა, არამედ კონსტრუქციული თანამშრომლობა. მართლწესრიგის დამყარება სამართალდაცვითი ორგანოებისაგან მოითხოვს დიდ შრომასა და ენერგიას, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, არაორგანიზებულობის, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტების აღმოფხვრას, მკაცრ მომთხოვნელობას, როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვებისადმი. ეს გარდაქმნის მოთხოვნაა, ცხოვრებით, პრაქტიკით ნაცადი და შემოწმებული ტრადიციაა.

ესაუბრა ა. ცატუროვი.

**რედაქციისაგან:** ზემოთ მოყვანილი ინტერვიუ, იძლევა საშუალებას, ასე ვთქვათ, გარედან შევხედოთ ჩვენ საქმიანობას, ვფიქრობთ, რომ ეს უთუოდ წაადგება საერთო საქმეს.

# აფხაზეთის ამბების ექო

ქ. ფოთის შემოსასვლელის საგუშაგოზე მე-7 კილომეტრის დასახლებაზე 15 ივლისს რადიოკავშირით გადაიცა ინფორმაცია, რომ მალთაყვის ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაძარცვული იყო მოქალაქე, მეორე მოქალაქეს კი სამმა ბოროტმოქმედმა წაართვა ავტომანქანა „ჟიგული“ და ქალაქის გავლით მოდიან მეორე მხარის გამოსასვლელთან მათთან. მე-7 კილომეტრის დასახლებაზე მყოფ თანამშრომელთაგან გამოიყო ჯგუფი 3 თანამშრომლის შემადგენლობით: სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული მილიციის კაპიტანი კ. ტრიანდაფილიდი, არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორი მილიციის კაპიტანი გ. ცომაია და დაცვის განყოფილების ცენტრალური სადისპეტჩერო პულტის უფროსი, ლეიტენანტი ზ. ჩიტაია. ჯგუფს ხელმძღვანელობდა განყოფილების უფროსი მილიციის პოლკოვნიკი ზ. ტაბიძე. გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნა წინა დღით ზუგდიდის საგამომძიებლო იზოლატორიდან გამოქცეული 3 პატიმარი, რომლებმაც დაკავების დროს მილიციის თანამშრომლებს გაუწიეს შეიარაღებული (2 სანადირო თოფი და დიდი რაოდენობით ვაზნები) წინააღმდეგობა.. სროლის პროცესში დაჭრილი იქნა ერთ-ერთი ბოროტმოქმედი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ამ დღეებში საქართველოს სსრ შს მინისტრის ბრძანებით სამკერდე ნიშნით „შს ორგანოებში წარჩინებული, სამსახურისათვის“ დაჯილდოვდნენ ამ ოპერაციის მონაწილეები კ. ტრიანდაფილიდი და ზ. ჩიტაია. გ. ცომაია დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

მ. ლოლობერიძე

## Только факты

● 21 апреля сотрудниками Казбегского РОВД задержан Абу С., неработающий, проживающий в селе Шишки Грозненского района Чечено-Ингушской АССР, у которого изъято 450 г марихуаны.

● 22 апреля сотрудниками ЛОВД на ст. Хашури уличен Мхедари Ц., проводник поезда Тбилиси — Сухуми, перевозивший 19 безбилетных пассажиров, от которых должен был получить по 7 рублей с каждого.

● 22 апреля сотрудниками ЛОВД на ст. Сухуми задержан Роберт С., житель и рабочий совхоза «Садоводческий» Абовянского района Армянской ССР, который в г. Сухуми в разных промтоварных магазинах закупил 45 штук покрывал на сумму 1.920 рублей и вез к месту своего жительства с целью перепродажи

● 23 апреля сотрудниками Ланчхутского РОВД в г. Ланчхути из дома неработающего Пааты Г. изъята малокалиберная винтовка.

● 25 апреля в Хелвачаурский РОВД обратился Шота М. с заявлением о том, что неустановленный преступник с его автомашины ВАЗ-2106, стоящей во дворе дома, совершил кражу лобового стекла и двух тысяч рублей. Принятыми мерами сотрудниками РОВД установлены и задержаны: Автандил Д., ранее судимый, колхозник и житель села Зваре Кедского района, Резо Л., колхозник и житель села Вано Кедского района и Арсен М., колхозник и житель села Хилвани. Краденое изъято.

სწრაფად, ოპერატიულად

# თაღლითების ბოლო საქმე



სურათზე: გ. ალექსიძე მოქალაქის დაკითხვის დროს.
გ. ბურამიშვილის ფოტო

...ქასპის რაიონის მკვიდრები, შვიდჯერ(!) ნასამართლევი არსენ გიორგაძე და ექვსჯერ (!) ნასამართლევი რობერტ მაღლაფერიძე ძველი მეგობრები არიან. რასაკვირველია საერთო ინტერესებიც აკავშირებს ამ „დუეტს“, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი საპატიმროებში გაატარა, მაგრამ გამომძალველობასა და თაღლითობას ვერა და ვერ შეელია.

მეგობრებმა თავიანთი ერთ-ერთი შეხვედრა ჩვეულებრივად ქეიფით აღნიშნეს. სწორედ მაშინ მოუვიდათ აზრი მორიგი თაღლითობით ფულის შოვნის შესახებ. მათთან ერთად საკუთარი ავტომანქანით იყო რ. მაღლაფერიძის მეზობელი ო. ყ. რომელმაც არ იცოდა თუ რა განიზრახეს მისმა ხინკლის მოყვარულმა თანამგზავრებმა და ისინი ფასანაურისაკენ წაიყვანა. მათ კი გადაწყვიტეს გზაზე ვინმესთვის ე. წ. „კუკლა“ დაეგდოთ და ფულიც გამოეძალათ. ამისათვის რ. მაღლაფერიძემ დაახლოებით ათმანეთიანების ზომაზე დაჭრა გაზეთები. შემდეგ ზემოდან დადო ერთი ათმანეთიანი და ქსოვილის ნაჭერში შეახვია ისე რომ ათმანეთიანი ზემოდან ოდნავ გამოჩენილიყო....

სოფელ მენესოს მახლობლად გზაზე შენიშნეს „კამაზი“, რომლის მძღოლიც ვორონეჟელი ვ. კოლიანდიცევი ა. გიორგაძემ და რ. მაღლაფერიძემ მიზანში ამოიღეს. მძღოლს ავტომანქანა გააჩერებინეს და უთხრეს, რომ მალე დაბრუნდებოდნენ. რ. მაღლაფერიძე მიუახლოვდა „კამაზის“ მძღოლს და საუბარი გაუბა. რ. გიორგაძე მას ოდნავ ჩამორჩა და ბარბაცით წავიდა მათკენ. ამ დროს რ. გიორგაძეს ვითომ შემთხვევით დაუვარდა „კუკლა“. მაშინვე იგი მოსცილდა ვ. კოლიანდიცევს, რომელმაც შენიშნა ათმანეთიანი. ამ დროს რ. მაღლაფერიძემ აიღო შეკვრა და მძღოლს უთხრა, რომ ფული ერთმანეთში გაეყოთ. მისი ძმაკაცი კი მალე უკანვე მობრუნდა და თქვა, რომ 2500 მანეთი დაკარგა და მათ ხომ არ უპოვნიათ. უარი რომ მიიღო, თავის გზა განაგრძო. რ. მაღლაფერიძემ მძღოლს გადასცა შეკვრა და უთხრა, რომ წასულიყო 10 კილომეტრში, სადაც ისიც მოვიდოდა ფულის გასაყოფად, მაგრამ იგი ფულთან ერთად რომ არ მიმალულიყო მანამდე სანაცვლოდ დაეტოვებინა მისთვის ტელევიზორი „ელექტრონიკა“ მაჯის საათი და 160 მანეთი...

ასე მოატყუეს გულუბრყვილო მძღოლი, რომელიც დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დარწმუნდა, რომ მხოლოდ ათმანეთიანი შერჩა ხელში და განგაშიც ატეხა....

დუშეთის მილიციის მუშაკები მიჰყვნენ დანაშაულის კვალს და მაშინ დააკავეს ბოროტმოქმედები, როდესაც ისინი მორიგი ბედოვლათის „დამუშავებას“ აწარმოებდნენ. მათ თაღლითობას წერტილი დაუსვეს სისხლის სამართლის სამძებროს ოპერატიულმა მუშაკებმა ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის მაიორმა ვ. აფციაურმა, ოპერრწმუნებულებმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტებმა გ. ნატროშვილმა და ა. ციხელაშვილმა. საქმის გამოძიებაში მაღალი პროფესიული ოსტატობა გამოიჩინა გამომძიებელმა, მილიციის კაპიტანმა გ. ალექსიძემ.

სასამართლომ გამოუსწორებელ გამომძალველებს 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გ. თათეიშვილი.

**Пресечение преступлений, направленных против жизни и здоровья граждан, является одной из важнейших задач органов внутренних дел. В последнее время положение на данном направлении вызывает серьезную тревогу. Как отметил в своем выступлении на состоявшемся недавно заседании коллегии МВД ГССР первый заместитель министра внутренних дел республики генерал-майор внутренней службы В. Шадури, в прошлом году по сравнению с предыдущим на 36,6 процента возросло количество убийств, на 41,2 процента — покушений на них. Причем, многие преступления совершаются в особо дерзких формах и носят социально опасный характер.**

**— Как обстоит положение на данном направлении в нынешнем году? — с этим вопросом мы обратились к заместителю начальника отдела УУР МВД ГССР майору милиции А. КОБАХИДЗЕ.**

# СОЗДАТЬ ОБСТАНОВКУ НЕТЕРПИМОСТИ К НАСИЛИЮ

**К СОЖАЛЕНИЮ** приходится констатировать, что тенденция роста тяжких видов преступлений пока еще не преодолена, более того, в первом квартале нынешнего года совершено 34,5 процента умышленных убийств, — больше, чем за аналогичный период прошлого года. Указанные преступления имели место на территории обслуживания 39 органов. Обращает на себя внимание рост количества убийств в сельской местности.

Работая с полным напряжением, аппараты уголовного розыска раскрыли более 75 процентов совершенных в нынешнем году убийств, что в абсолютных цифрах более чем в два раза выше данного показателя за тот же период прошлого года, однако с профессиональной точки зрения это не может нас удовлетворять. В ряде подразделений с раскрытием преступлений дела обстоят неблагополучно, в частности, особенно тяжелое положение в этом плане сложилось в г. Цхалтубо, серьезные проблемы остаются в Сагареджойском и Горийском районных отделах внутренних дел.

Рост тяжких видов преступлений во многом объясняется сложной общественно-политической ситуацией в республике, что соответственно вызывает напряженность и в отношениях между людьми. Играет свою роль и недостаточно высокая культура взаимоотношений, некоторая девальвация моральных ценностей, традиций взаимного уважения, бережного отношения к ближнему. Не случайно более двух третей трагедий происходит в результате внезапно возникших ссор, еще 13 процентов — на почве семейно-бытовых конфликтов. Характерно, что лишь около 20 процентов убийств совершается лицами, состоящими на оперативно - профилактическом учете, большая часть — учащимися, рабочими и служащими, колхозниками, т. е., теми лицами, со стороны которых трудно ожидать подобные преступления.

Трудностей на пути решения этих задач немало. В последнее время и без того ограниченные силы и средства милиции регулярно отвлекаются для выполнения несвойственных им функций, в том числе, пресечения столкновений на межнациональной почве, поддержания порядка во время несанкционированных митингов и демонстраций и т. д. В результате определенной дестабилизации обстановки в республике, значительно ослабили воспитательную работу среди населения советские и партийные органы, советы трудовых коллективов, общественные формирования.

Много проблем создает слабость материально - технической базы ОВД. В условиях, когда процесс раскрытия преступлений значительно усложнился, до 80 процентов аппаратов уголовного розыска на местах не располагают современной оперативно - криминалистической техникой, не имеют служебного транспорта, особенно необходимого в труднодоступной местности. Это создает дополнительные проблемы в раскрытии преступлений по «горячим следам», когда с виду незначительные потери времени становятся в дальнейшем невосполнимыми.

Следует отметить и тот факт, что сотрудники милиции, охраняя правопорядок и законность, сами недостаточно защищены в правовом отношении, что наглядно показывают события последнего времени. В этом плане необходимо скорейшее принятие закона о милиции, в котором четко были бы определены все права и обязанности стражей правопорядка.

Конечно, со стороны милиции, прежде всего сотрудников уголовного розыска и профилактических служб, необходима активизация усилий по борьбе с тяжкими видами преступлений, их предотвращению. Следует усилить контроль за лицами, входящими в, так называемые, группы риска — наркоманами, пьяницами, тунеядцами и т. д. Однако, главная задача, на наш взгляд, состоит в том, чтобы улучшить обстановку в обществе в целом, преодолеть наблюдаемые в последнее время элементы отчужденности, озлобленности, создать обстановку нетерпимости к насилию.

Здесь милиции без всестороннней помощи населения, широких слоев общественности не обойтись. Задачи это общие, и решать их надо объединенными усилиями всех и каждого — в этом залог достижения желаемых результатов, оздоровления обстановки в республике.

# ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს?

**სპეკულაცია**, რამდენი პრობლემა და ქვეტექსტია ამ ერთ პატარა სიტყვაში. დღეს სპეკულაციის საგნად არის ქცეული მსუბუქი მრეწველობის ნაწარმებიდან დაწყებული მინერალური წყლით დამთავრებული ყველაფერი. ჯერჯერობით მხოლოდ ჰაერმა შეინარჩუნა სასპეკულაციო „ხელშეუხებლობა“. სიგარეტთან, ლუდთან, ავტო-სათადარიგო ნაწილებთან ერთად იყიდება სინდისიც, ნამუსიც. ზოგი ყიდის, ზოგი ყიდულობს, ზოგიც ხელს ითბობს. წაგებაში თითქოს არავინ არ რჩება, გარდა პატიოსანი კაცისა. საწყობები ცარიელია, მაღაზიები მითუმეტეს, ბაზრობაზე კი ყველაფერს იშოვი.

ლოჭინის ხეობის ავტომანქანათა და სათადარიგო ნაწილების ბაზრობა ალბათ ყველა ავტო მოყვარულისათვის არის ცნობილი ეს ერთ-ერთი იმ მრავალთაგანია, სადაც ნაქურდალიდან კუსტარული წარმოების ნაწარმამდე ყველაფერს შეიძენ. დგანან და ყიდიან, მყიდველი კი არ ილევა. რადგან მანქანა გყავს ე. ი. ნაწილიც უნდა იყიდო, ეს აქსიომაა. პატრონი კი ამ ბაზარს არავინ ჰყავს, პატრონი კარგი გაგებით, თორემ ისე „პატრონი“ რომ არ ჰყავდეს აბა როგორ იარსებებდა ამდენ ხანს.

ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოცსაკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს და კალინინის რაიონის შს განყოფილების, შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს რეიდი ზემოთ აღნიშნულ ბაზრობაზე, სადაც შემდეგი სურათი დახვდათ:

თ. ბედიაშვილი, ნ. ბოსტოლანაშვილი და გ. ტატუნაშვილი, მეგობრები არიან სწორედ სიტყვა „მეგობრის“ ქრონოლოგიური აზრით მოქმედებდნენ ისინი, ერთი გობიდან „მიირთმევდნენ“ ულუფას. ერთად ყიდულობდნენ ნაწილებს რესპუბლიკის სხვადასხვა მაღაზიებში, ერთად იდგნენ ბაზრობაზე და ფულსაც ერთად იყოფდნენ. ნამდვილად, რომ „მეგობრები“ იყვნენ, მაგრამ გასულ წელს, როდესაც ნ. ბოსტოლანაშვილი ბორჯომის სახალხო სასამართლომ სპეკულაციისათვის ერთი წლით გაასამართლა, „მეგობრები“-განზე გადგნენ, მაგრამ საქმეს მაინც არ უღალატეს წისქვილი ფქვავდა, წყალი კი ნიაღვრად ესხმებოდა სპეკულანტთა დოლაბზე.

ამ ერთი, შეიძლება ითქვას პატარა რეიდი სპეკულანტებს ჩამოერთვათ 3010 მანეთის ღირებულების სათადარიგო ნაწილები (ეს თანხა რომ გადავიყვანოთ შავი ბაზრის კურსზე, დაახლოებით ხუთჯერ მეტი იქნება) არ გვინდა ამ პუბლიკაციით კონკრეტულად ამ ფაქტზე ვისაუბროთ, რადგანაც პროგრამა მასშტაბურია. მის აღმოფხვრას, რომ გამოვრიცხოთ პრობლემების სოციალური გამომწვევი მიზეზები, საერთო ძალისხმევა სჭირდება. ასეთ ბაზრობაზე შეხვდებით აზარტულ მოთამაშეებს თუ „გასტროლიორ“ აფერისტებს, რომლებიც „კუკლების“ მეშვეობით საკმაოდ ოსტატურად ატრიალებენ მრავალ მახინაციებს და ყველაფერი ეს ხდება დღისით, მზისით ეზნის ინსპექტორის, სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკთა და სხვათა თვალწინ, ვის კომპეტენციაშიც ყოველივე ამის აღკვეთა შედის.

არ შეიძლება მხოლოდ სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს დაეკისროს ყოველივე ამის ალაგმვა, რადგანაც სხვა სამსახურებსაც, კერძოდ პროფილაქტიკის და სისხლის სამართლის სამსახურებმაც მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდონ ხელი ყოველ ასეთ გამოვლინებას, რამეთუ მათი წაყრუებით და თვალის დახუჭვით წყალი სპეკულანტთა წისქვილზე ესხმება.

ს. ალავიძე.

# „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“

**დღეს**, როდესაც საქართველოს გზებზე მოძრაობა სულ უფრო და უფრო რთულდება და ამასთან ერთად იზრდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი, ცხოვრება გვაიძულებს ჩავფიქრდეთ, თუ რა შეიძლება გააკეთოს კაცმა ადამიანთა მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად.

ამ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო სამსახურში დგას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, მისი მეცნიერ მუშაკები, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: თ. გელაშვილი და ნ. ნიკურაძე. მათ მიერ განვლილ ცხოვრებას, რომ გადავხედოთ ბევრ კარგ და სასიკეთო საქმეს შევხვდებით. მათი გამოგონებები და მეცნიერული ნაშრომები ემსახურება გზაზე მოძრაობის უსაფრთხოებას და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია — ეკოლოგიას.

ნ. ნიკურაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების დღიდან მუშაობს ამ ორგანიზაციაში. 1977 წელს გაიგზავნა მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის ასპირანტურაში ცოდნის გასაღრმავებლად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1981 წლიდან მუშაობს მოძრაობის ორგანიზაციის და საგზაო კვლევის განყოფილების გამგედ. 1984 წელს მიიღო მონაწილეობა კონკურსში და დაჯილდოვებული იქნა პირველი ხარისხის საპატიო დიპლომით.

ახალგაზრდა მეცნიერს აქვს ოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს მონაწილეობა საკავშირო ტექნიკურ კონფერენციებში. ასევე აქვს ერთი რაციონალიზატორული წინადადება. იგი აქტიურად მონაწილეობს ცენტრის სამეცნიერო საქმეებში, არის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე.

მისმა კოლეგამ და მეგობარმა თ. გელაშვილმა 1978 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საავტომობილო ძრავების კათედრაზე მეცნიერ მუშაკად.



იგი კათედრის რეკომენდაციით 1981 წელს გაიგზავნა ქ. მოსკოვის ნავთობის და გაზის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1985 წელს მან დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ახალგაზრდა სპეციალისტი დაუბრუნდა სამშობლოს და შეუდგა მუშაობას მოძრაობის უსაფრთხოების ლაბორატორიაში. ამჟამად იგი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ანალიზის განყოფილების გამგეა.

თ. გელაშვილი ეწევა მეცნიერულ მუშაობას, არის შვიდი გამოგონების და აგრეთვე მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. მისი ერთ-ერთი გამოგონების ეკონომიკური ეფექტი იყო 800.000 მანეთი... ახალგაზრდა მეცნიერის მიერ მიღებული საავტორო უფლებებიდან ოთხი ნაშრომი ეძღვნება ეკოლოგიურ საკითხებს.

ორივე ახალგაზრდა ჭეშმარიტ მეცნიერულ გზას ადგანან და მძიმე ჭაპანს ეწევიან ხალხის კეთილდღეობის საქმეში, რომელიც ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ისევ ხელს უშლიან საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მეთოდების მქადაგებლები. წლიდან წლამდე იზრდება ადამიანთა მსხვერპლი, რომელიც ავტო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს ხდება. ეს აქტუალური პრობლემაა დღევანდელ დღეს და მისი გადაწყვეტისათვის საჭიროა ახალი მეცნიერული მეთოდების დანერგვა, მათი სწრაფი განხორციელება.

ყველა მნიშვნელოვანი თუ „უმნიშვნელო“ პრობლემის გადაწყვეტისას მეცნიერის აზრი, მისი შრომა უნდა იყოს სათანადოდ დაფასებული რამეთუ კაცობრიობის წინსვლა მეცნიერების, ტექნიკის განვითარებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს ეს ტექნიკა არ უნდა იყოს ადამიანთა მოდგმის გამანადგურებელი.

ჩვენი მეცნიერები ბევრ რამეში იყვნენ შეზღუდულნი, ახლა კი მათ მიეცათ შესაძლებლობა გამოავლინონ მთელი თავიანთი ნიჭი. ბევრ მეცნიერს უსახელებია საქართველო საზღვარგარეთ და რაც ყველაზე გულდასაწყვეტია სამშობლოში ვერ უპოვია ამ ნიჭის ნერგს თავისი მომვლელი, გამხარებელი.

კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც იმედის თვალით შევცქერით ამ ორ ნიჭიერ ახალგაზრდას და მათთან ერთად ქართველ მეცნიერთა დიდ არმიას.

**თ. კობახიძე.**

## СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

**ВЫШЕЛ в свет очередной номер журнала «Советская милиция», который открывается серией материалов, анализирующих актуальные вопросы партийной жизни в органах внутренних дел. В материале под заголовком «Если меня изберут, я буду бороться...» свои предвыборные программы излагают первый заместитель министра внутренних дел РСФСР А. Аникиев, начальники управлений МВД СССР А. Гуров и Н. Трошин, заместитель министра внутренних дел Северо - Осетинской АССР Т. Багатов.**

**Под рубрикой «Журналист ведет расследование» в номере опубликован очерк специального корреспондента журнала подполковника милиции Л. Фишера «503 дня ада», в котором рассказывается о необоснованном привлечении к уголовной ответственности заместителя начальника ОУР УВД Наманганского облисполкома. В напечатанной под рубрикой «Актуальный репортаж» статье «Пришельцы» речь идет о создании в МУРе подразделения, занимающегося вопросами подростковой преступности. Мнения читателей журнала по различным аспектам деятельности ОВД приводятся в подборке под рубрикой «Письма: слово в слово».**

СПОРТ ••••••••••••••••••• სპორტი ••••••••••••••••• СПОРТ ••••••••••••••••• სპორტი

# ГИРЕВИКИ ОТКРЫВАЮТ СЕЗОН

**НА ДНЯХ** состоялся очередной лично - командный чемпионат Юго-Осетинского облсовета «Динамо» по гиревому спорту. Это, ставшее уже традиционным, соревнование пользуется большой популярностью среди сотрудников органов внутренних дел автономной области. В течение двух дней звание сильнейших оспаривали более 50 спортсменов - динамовцев.

Состязания проходили в четырех весовых категориях: до 70, 80, 90 и свыше 90 кг. Победителями соответственно стали: сержант внутренней службы М. Хугаев (СВПЧ-30 г. Цхинвали), старший лейтенант милиции З. Джиоев (УВД Юго-Осетии), сержант внутренней службы П. Хубаев (СВПЧ-30 г. Цхинвали) и капитан милиции М. Хугаев (Цхинвальский РОВД).

Особенно упорной и интересной была борьба среди тяжеловесов — в весовой категории свыше 90 кг. Всего на два очка опередил занявший первое место капитан милиции М. Хугаев второго призера старшину внутренней службы В. Санакоева (СВПЧ-30 г. Цхинвали). Кстати, М. Хугаев уже пятикратный чемпион этих соревнований, он неоднократный призер республиканских чемпионатов.

Отличную подготовку показали динамовцы СВПЧ-30 г. Цхинвали, которые заняли первое место в командном зачете, значительно опередив вторых призеров — спортсменов Джавского РОВД. Третье командное место у гиревиков отдела охраны при Цхинвальском ГОВД. Победители и призеры как в командном, так и в личном зачете были награждены ценными подарками и дипломами Юго-Осетинского облсовета «Динамо».

В ходе чемпионата, основной целью которого была популяризация служебно-прикладных видов спорта и повышение уровня физической подготовки личного состава органов внутренних дел автономной области, четыре человека выполнили нормативные требования кандидатов в мастера спорта, 7 человек — первого разряда, 4 — второго разряда, 24 — третьего разряда.

По итогам соревнований будет сформирована сборная команда УВД Юго-Осетии, которая примет участие в чемпионате МВД ГССР по гиревому спорту.

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
**старший лейтенант милиции, инструктор пресс-группы политотдела УВД Юго-Осетии.**

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# ОБ ОПЫТЕ РАБОТЫ УВД КУЙБЫШЕВСКОГО ОБЛИСПОЛКОМА ПО ПРЕДОТВРАЩЕНИЮ НЕЗАКОННОГО СБОРА НАРКОТИКО-СОДЕРЖАЩИХ РАСТЕНИЙ

**УВД** Куйбышевского облисполкома осуществлен комплекс мер по предупреждению незаконного сбора наркотикосодержащего сырья.

Подготовительный этап мероприятий осуществлялся в начале года и включал формирование оперативно-поисковых групп, их материально-техническое обеспечение. Состав групп комплектовался за счет сотрудников подразделений УВД, комсомольцев предприятий и организаций, демобилизовавшихся из пограничных, воздушно-десантных и внутренних войск. После соответствующего инструктажа, по согласованию с военкоматом области, они были обеспечены ракетницами, биноклями, приборами ночного видения. С финансово-плановыми учреждениями согласован порядок оплаты работы комсомольцев, участвовавших в операции. Проживание членов оперативно-поисковых групп предусматривалось в подвижных домах, установленных на маковых полях, примыкающих к ним домах колхозников.

Патрулирование оперативно-поисковыми группами осуществлялось в три смены. В дневное время при появлении на маковых полях посторонних лиц, по радиосвязи или сигналами ракет сообщалось об этом оперативно-поисковым группам, патрулировавшим на автотранспорте или пешком. В считанные минуты посторонние лица задерживались и доставлялись на контрольный пункт для разбирательства.

В ночное время осуществлялось смешанное патрулирование сотрудниками милиции, имеющими табельное оружие, и комсомольцами. Ночью учащались случаи проникновения посторонних лиц на маковые поля. Нередко сборщики мака имели при себе холодное и огнестрельное оружие, оказывали сопротивление при задержании. В предутренние часы по дорогам, примыкающим к маковым полям, курсировал «автобус-ловушка» для выявления сборщиков наркотических растений, оказавшихся не в поле зрения оперативно-поисковых групп. Он выглядел как обычный транспорт, в котором размещались переодетые в рабочую одежду сотрудники милиции.

Такая форма работы позволила УВД Куйбышевского облисполкома надежно обеспечить охрану маковых полей, выявить и задержать несколько десятков сборщиков наркотических растений.

**Подробная информация имеется в УВД Куйбышевского облисполкома.**

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### УВИДЕЛ — СООБЩИ

**«УВИДЕЛ садящегося за руль пьяного водителя — сообщи в полицию» — под таким лозунгом дорожная полиция шотландского города Дамфрис вот уже 14 месяцев проводит эксперимент по привлечению общественности к борьбе с опаснейшим злом— вождением автомобиля в нетрезвом состоянии. Полиции сообщаются сведения о потенциальном нарушителе правил дорожного движения — регистрационный номер автомобиля, марка, цвет, направление движения. Эти сведения оперативно передаются патрульным полицейским, которые немедленно начинают поиск подозрительной машины, останавливают ее и подвергают водителя специальному тесту на степень опьянения. Примерно в 43 проц. случаев мы находим машину, о которой поступили сведения от населения, говорит начальник дорожной полиции Дамфриса Джон Карпентер.**

### КТО ХИТРЕЕ НА ВЫДУМКУ

**ПОЛИЦИЯ американского города Атланта провела эксперимент, записав и опубликовав оправдание водителей, задержанных за превышение скорости. Самым оригинальным аргументом признан ответ супруги одного из водителей. Женщина заявила, что муж не мог превысить скорости, поскольку она сама следит за этим, когда муж садится за руль... нетрезвым.**

## „სისხლიანი თოკი“



**ახლახანს** გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა სენაკის შს რაიგანყოფილებასთან არსებული დაცვის განყოფილების უფროსის, მილიციის მაიორ ბორის დავითაიას დეტექტიურ მოთხრობათა კრებული „სისხლიანი თოკი“. წიგნში ავტორი გვთავაზობს სამ ნაწარმოებს. მათგან „სისხლიანი თოკი“ და „კიბორჩხალები“ მოგვითხრობენ ბოროტმოქმედთა სასტიკ დანაშაულზე, მილიციის და პროკურატურის თანამშრომელთა გამჭრიახ, გაბედულ მოქმედებაზე, გამომძიებელი ქალის დაძაბულ და ხიფათით აღსავსე საქმიანობაზე.

9 აპრილის თბილისის ტრაგედიის ამსახველი ბ. დავითაიას დოკუმენტური მოთხრობა „განთიადისას“ ჩვენ მკითხველს შემოკლებული სახით გავაცანით „მებრძოლი გუშაგის“ 1989 წლის 10 ნოემბრის ნომერში.

### განცხადება

8 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლში ჩატარდება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო (რეჟისორი ო. ღვაბერიძე).

დასაწყისი 17 საათზე.

ინდექსი 66622
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 08420